

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში აღმინისტრირების კუთხით განხორციელებული ძირითადი ცვლილებები:

- „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლებებს უფლება მიეცათ უარი თქვან პროგრამულ მომსახურებაზე. შესაბამისად, გაიწერა მოსარგებლების სიიდან მათი ამოღების და შემდგომში ჩართვის წესი.
- დაზუსტდა და მკაფიო ხდება მიმწოდებლის მხრიდან ანგარიშგების ეტაპზე წარსადგენი საანგარიშგებო დოკუმენტაციის სახეობა (ნუსხა), ფორმა და სავალდებულო ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს აღნიშნული დოკუმენტაცია.
- პროგრამის მე-19 მუხლით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები ყველა ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის გამოითვლება ერთგვაროვნად, მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი/ანაზღაურებული თანხიდან.
- 2017 წლის 1 მარტიდან საბაზისო პაკეტით მოსარგებლები, ნაცვლად 2013 წლის 1 ივლისისა, ხდებიან **2017 წლის 1 იანვრის** მდგომარეობით **დაზღვევის არმქონე პირები**, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ასეთი პირები ამა თუ იმ მიზეზით დაკარგავენ კერძო დაზღვევას, უფლება ეძლევათ ისარგებლონ ე.წ. მინიმალური პაკეტით.
- ბენეფიციართათვის პირობების გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, ამ დადგენილების ამოქმედებამდე ე.წ. საბაზისო ან მინიმალური პაკეტის ფარგლებში დამდგარი პროგრამული შემთხვევები, რომლებიც ამ პერიოდისთვის არ დასრულებულა ანაზღაურდება იმავე პაკეტის შესაბამისად, რომლითაც დაიწყო მომსახურება, ხოლო გეგმურ მომსახურებაზე გაცემული მატერიალიზებული ვაუჩერი (მიმართვა) ვალიდური რჩება ვადის ამოწურვამდე.
- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში დაემატა მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურების კომპონენტი, რომლის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის კერძო სადაზღვევო სქემებითა და საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირები. აღნიშნული კომპონენტის მიმწოდებლები არიან III დონის პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები.
- საჯარიმო სანქციები კონკრეტულად განისაზღვრა პროგრამის გეგმიური ამბულატორიული კომპონენტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო.
- უნიფიცირდა გეგმური ამბულატორიული მომსახურების მოცულობა სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისთვის;
- მოხდა გადაუდებელი ამბულატორიული მდგომარეობების ჩამონათვალის ოპტიმიზაცია;
- ზოგიერთ დიდ ქალაქში (**ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში**) გეგმური ამბულატორიის კომპონენტში მიმწოდებელთათვის განისაზღვრა გარკვეული კრიტერიუმები. კერძოდ, გეგმური ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში 1 ჰჯდ გუნდთან მიმაგრებული მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 2,500 მოსახლეს, ამასთან, **გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელს ა. წ. 1 მარტიდან** უფლება აქვს გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მომსახურება განიოს **მხოლოდ გარკვეული მცირე ქირურგიული ოპერაციებისა და მანიპულაციების შესაბამისად.**

ხელოვნური კოდი	ხელოვნური კოდის დასახელება	ტარიფი
1000000005	-/- I დონის ქირურგიული დახმარება -/- -/- ზედაპირული ტრავმა და მცირე ზომის ღია ჭრილობები -/- ჭრილობის ქირურგიული დამუშავება, შეხვევა, მედიკამენტები	42.8
1000000006	-/- II დონის ქირურგიული დახმარება -/- -/- საშუალო ზომის ან ორი ან მეტი მცირე ზომის ჭრილობა -/- ჭრილობის ქირურგიული დამუშავება, გაკერვა, მედიკამენტები	66.3
1000000009	-/- უცხო სხეული -/- -/- ზედა სასუნთქ გზებში, ყურში სასმენ ხვრელში, საჭმლის მომნელებელ სისტემაში -/-	60.0
1000000010	-/- თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) -/- რომელიც არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას -/- დაზიანებული უბნის ქირურგიული დამუშავება - ნეკროტომია, შეხვევა	87.5
1000000011	-/- ცხვირიდან სისხლდენა -/- ტამპონადა (გარდა უკანა ტამპონადისა)	40.5
1000000016	თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) 3%-მდე -/- რომელიც არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას -/- დაზიანებული უბნის ქირურგიული დამუშავება / შეხვევა	59.8
1000000017	თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) 4-6% მდე -/- რომელიც არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას -/- დაზიანებული უბნის ქირურგიული დამუშავება / შეხვევა	70.0
1000000018	თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) 6-10% მდე -/- რომელიც არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას -/- დაზიანებული უბნის ქირურგიული დამუშავება / შეხვევა	80.0
1000000019	თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) 10%-ის ზევით -/- რომელიც არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას -/- დაზიანებული უბნის ქირურგიული დამუშავება / შეხვევა	96.3
1000000020	იმუნოზაციის აუცილებლობა ცოფის წინააღმდეგ ანტირაბიული ვაქცინით (აქტიური)	21.0
1000000021	იმუნოზაციის აუცილებლობა ცოფის წინააღმდეგ ანტირაბიული ვაქცინით (პასიური)	13.0
1000000022	იმუნოზაციის აუცილებლობა ტეტანუსის წინააღმდეგ (ბავშვებში) (აქტიური და პასიური)	53.8
1000000023	იმუნოზაციის აუცილებლობა ტეტანუსის წინააღმდეგ (მოზრდილებში) (აქტიური და პასიური)	53.8
1000000024	იმუნოზაციის აუცილებლობა ტეტანუსის წინააღმდეგ (აქტიური)	33.8
0000000014	-/- კანის აბსცესი, ფურუნკული და კარბუნკული -/- წარმონაქმნის გაკვეთა და სანაცია	129.8
0000000015	-/- ფრჩხილისა და მიმდებარე ქსოვილის ანთებითი ავადმყოფობები -/- -/- -/- ქირურგიული დამუშავება, შეხვევა, მედიკამენტები	117.3
0000000018	-/- ასციტი -/- R18 -/- ლაბორატორიული კვლევა, სითხის ევაკუაცია	166.5
0000000020	-/- პათოლოგიური სისხლდენა საშვილოსნოდან და საშოდან -/- სისხლის ს/ა, ულტრაბგერითი კვლევა	142.5
0000000021	-/- უცხო სხეული თვალის გარეთა ნაწილში, დაუზუსტებელ მიდამოში -/-	63.8
0000000022	-/- რბილ ქსოვილებში დარჩენილი უცხო სხეული -/-	110.0
0000000029	-/- ჰიდროთორაქსი (გულის უკმარისობის და ონკოლოგიური პათოლოგიების დროს) -/- -/- რომელიც არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას -/- სისხლის ს/ა, რენტგენოგრაფია, ულტრაბგერითი კვლევა, სითხის ევაკუაცია	161.3
0000000030	-/- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (კათეტერის შეცვლა) -/- -/- -/-	47.5
0000000031	-/- ტრავმის შემდგომი პერიოდი -/- გადაუდებელი ამბულატორიის ფარგლებში განუხლები ტრავმატოლოგიური დახმარების შემდგომ პერიოდში -/- -/- კონსულტაცია, რენტგენოგრაფია, საჭიროების შემთხვევაში ფიქსაცია	90.0

ხელოვნური კოდი	ხელოვნური კოდის დასახელება	ტარიფი
0000000032	-/- შეხვევა/გადახვევა (1 პროცედურა) -/- გადაუდებელი ამბულატორიის ფარგლებში განუვლი ქირურგიული დახმარების შემდგომი პერიოდი	30.0
0000000033	-/- შეხვევა/გადახვევა (1 პროცედურა) -/- თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) 3%-მდე	36.8
0000000034	-/- შეხვევა/გადახვევა (1 პროცედურა) -/- თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) 4-6% მდე	38.3
0000000035	-/- შეხვევა/გადახვევა (1 პროცედურა) -/- თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) 6-10% მდე	46.3
0000000036	-/- შეხვევა/გადახვევა (1 პროცედურა) -/- თერმული, ქიმიური და ელექტროკონტაქტური დაზიანება (დამწვრობა, მოყინვა) 10%-ის ზევით	57.5
0000000043	-/- ფლეგმონა -/- L03	160.0